




სანამ ქალალდს მივიღებდეთ მიმართავების სამინისტროსაგან, უურნალი ზათაბალა გამოვა დრო-გამოშვებით და დაბეჭდება ისეთ ქალალზე, რა ა ქალალდსაც ვიშვეთ კერძოთ. რედაქციის მისამართი: თბილისი, სტამბა „სორაპანი“, თეოფილე ბოლქვაძეს. გამუიდებელებზა და აგენტებმა უნდა მიმართონ თფილისში კანტორა „განათლებას“.



საჭუა უასაბის რეჩი მეზასგეთა ყრილობაზე.

— ამხანაგებო, ჩვენ წინაშე სდგას ღიღი საკითხი, საკითხი ჩვენი არსებობისა — ამიტომაც ამხანაგებო, მოგიწეოთ ოქვენ, რათა მთელი ჩვენი უურადღება „ტაქსის“ დაწესებას მივაჲყრათ. გირვანქა ხორცი დღევანდელ პირობებში უნდა ღირდეს არა ნაკლებ 80 მანეთისა. მე შევეცდები ჩემი ნათქვამი დავსამუთო: სასაკლაოზე ხორცი დაკლული გვიჯდება გირვანქა 25 მანეთი. კარაპეტ ჩააგდე გეოუყვა 25.

კარაპეტ. — ჩავაგდე.

— ეხლა გვიხედამ და მოდის ერთი ბრუციანი მილიციონერი (ვინ იცის ეგებ მილიციონერი არც არი) აგივლის, ჩაგივლის, გადმოგხედამს. უნდა დაუქახო რალა. საუკეთესო ნაცერი ხორცი 10—12 გირვანქა უნდა მისუე. შენ ნახე რომ ზოგი წალებასაც არ კაღრულობს. შენი ბიჭი უნდა გააყოლო. რას იზამ... ესეც ხარჯია არა? გირვანქაზე ნ მან. სულ ცოტაც იქნება. კარაპეტ ჩააგდე.

კარაპეტ. — ჩავაგდე.

— ახლა უპრავის აგენტი ვარო, ექიმის თანაშემწე
ვარო, უგოლოვნი მილიცია ვარო... ყველა ხარჯია რა-
ღა ესეც ჩაგდე გირვანქაზე — 10 მანეთი.

კარაპეტ. — ჩაგდე.

— იმ დღეს გავიხედე და ერთი ულვაშ მოპარსუ-
ლი ჩინოვნენ მეწვია, ერთი მაგრათ შემომიბლვირა პა-
ტენტი ჩამაიდეო!.. ჩამოუდე. რამდენ აბაროტს აკეთებ
წელიწადში. — დღეში ხან 1000 გ. ხან 800 გ. ვაჭრობ
მეთქი. — რას მიქარამო მიყვირა, წელიწადში 5 მილიო-
ნის აბაროტი გექნებაო... კინაღამ გავვიუდი რაღა.
ვებნები: გოსპოდინ, ამდენი ფული ვინ მამცა და ან
ოქვენ რათ ვინდათ მეთქი. — სახელმწიფოს შენახვა არ
უნდაო? მიყვირა — მე კამა არ მინდაო? საწყალ ხალხს
შეელი არ უნდაო? ცხოვრება უნდა გავაიაფოთო. — რას
ვიზამდი ბევრი ველაპარაკე, ქრთამიც შევაძლიე, მაგრამ
არა იქნა რა. კარაპეტამ მითხრა, ეგ 5 მილიონი აბა-
როტი იმას ნიშნავსო, რომ 100,000 მანეთი ნალოვი
უნდა გადიხდოვო. ესეც ხარჯია არა... გირვანქაზე 15
მანეთი სულ მცირე იქნება, კარაპეტ ჩაგდე.

კარაპეტ. — ჩაგდე.

— ახლა სხვა ნალოგები სთქვი, რომელი ერთი
ჩამოგითვალო, მარტო ქალაქის სანიტარნი ნალოვი რა-
რა ღირს (ორ, იმის მამგონის ფათრეთი დავხიე) — გირ-
ვანქაზე ერთი თუმანი ალალი იქნება. კარაპეტ გეთა-
ყვა ესეც მიუმატე.

კარაპეტ. — მიუმატე.

— ახლა ამხანაგებო, თქვენ იცით რომ სხვა ხარ-
ჯებიცა გვაქვს, ჩვენც აღამიანები ვართ (გადაისვამს
მუცელზე ხელს და იცინის) ლიმაზი კუნარკებიც ფული
ჯდება. გირვანქაზე რომ შევაწეროთ 10 მანეთი ბევრი
არ უნდა იქნეს. კარაპეტ ჩაგდე.

კარაპეტ. — ჩავაგდე.

საჭუა, რამდენია სულ.

კარაპეტ. 75 მანეთი.

საჭუა. 5 გ. წვრილი ხარჯი იქნება, ესეც შენი
80 მანეთი. — ახლა მე თქვენ გეკითხებით ამხანაგებო,
სწორი ანგარიში ვქენი თუ არა.

ხმები, სწორია, სწორი. ნაკლებ არ შეიძლება.

საჭუა. მაშ თუ მეთანხმებით პროტოკოლიც დავ-
წეროთ. კარაპეტ გეთაყვა აპა რაც ვქენით სუსველა
დასწერე.

კარაპეტა სწერს:

რეზოლუცა.

1920 წელსა აპრილის 1 დღესა ვქენით ყასაბთა
ყრილობა და დავადგინეთ გირვანქა ხორცი გაიყიდოს
80 მანეთად. — დადგენილება ძალაში შედის დღევანდე-
ლი თარიღიდან — შეეთვალის ეს ქალაქის თავს და თუ
უარი ქნას ჩვენც ზაბასტოვკა ვქნათ.

ამ რიგათ გამოცხადდა თბილისში მეყასპეთა ზაბას-
ტოვკა — მთავრობა ცდილობს ცხოვრების გაიაფებას...

ხა — მი.

დღეს პირველ შაბაზონი

დღეს პირველ-მაისია,
მშრომელთა მუშებისა,
დღეს არს წმინდა ნიშანი,
მოპოების, შვებისა,
ძველი წესის მომსპობის,
ახალ კანონ-დებისა,
დღე არს ძმათ სიყვარულის
მჭიდროთ შეერთებისა.

დღევანდელ დღეს მოგვეცა
ნება განათლებისა,
მუშის სისხლში ნალები
დროშის ამაღლებისა,
სასყიდლის მომატებისა,
ტანჯვის შემოკლებისა,
მოსპოტ ძევლი აღათი —
მტარვალებთან ხლებისა.

დღეს პირველ-მაისია,
მედროშევ, რასა სჩადი,
დროშა ხელში გიჟირავს,
გაგვიძებ, სწორედ წალი,
ნუ გვაბრუნებ ას გვარად
კითარც შამფურზედ მწვალი,
იქით აქეთ სიარულს
მოჰყვება დიდი ზალი.

შენ გიყურებს ყოველი,
ქალი, კაცი, მოზარდი,
შენით უნდა მოეშოს,
გულზე ნაწოლი დარდი.
დღეს ვიყვნეთ მხიარულად,
გვმართებს ყველის ნავარდი,
თუმც გვაწუხებს შიმშილი,
ხელში გვიჭირავს ვარდი.

დღეს პირველ-მაისია —
გედროშევ გმიგონე:
ეს შიმშილი, ძვირობა,
მოსპე, რამე იღონე,
ვაჭრები და ჩარჩები
ჩვენს დროშას დაუმონე,
რა წონითაც გვაძლევენ,
იმ წონით მიუწონე.

კუუზედ მოიყვანე
სინიდის არ მქონე,
ერთი ისიც მონახე
ამათ გზისა მეფონე,
ამათთან ხალხის მტერი,
ყასაბი და მეორე,
თუ შეამენ მათ რასმეს,
შენი მამა ვაცხონე.

დღეს პირველ-მაისია,
მუშებს ყველის გილოცავ,
დროშას გაჰყევთ თვალ-ყურით,
მეც მოხუცი მოვცოცავ.



შედროშევ სწორეთ წალი,
შენთვის მუდამ ვილოცავ,
თუ არა და ჩემს წიგნში
შენს სახელს ამოვხოცავ.

დღეს პირველ-მაისია,
მუშაო და მშრომლებისა,
დროშა სისხლში ნაღები,
ტარი—მოძმეთ ძვლებისა,
შედროშემაც თუ იცის
ვალი შესრულებისა,
შაშინ ძალა არვის აქვს—
ალყის შემოვლებისა.

ან. განჯის-კარელი

შეპრეგილის წერილები

(შექანჯალებულის მიბაძვა)

ია—უა, ია—უა,
არ მიჟუავა თავში ჭკუა,
მაგრამ მაინც. არ მგონია
ჩემისთანა სხვაი თუა,
ყველა ცრუობს, ყველა სტყუა,
მათ უნდათ მათრახის ყუა.
ძლივს გველირსა უქმე დიდი,
რა კარვია, ეი გიდი,
აბა ბიჭო მიდი, მიდი,
მაგრამ რა გაქვს, რას იყიდი?
დღეს პირველი მაისია,
დღეობაა, მაინც მშია!..
როს კუჭი მაქვს ცარიელი,
მეწვის მუცელი და წელი,
გამშრალი მაქვს ენა, ყელი,
არც საქმელი, არც სასმელი,
არც ტანზე მაქვს ჩასაცმელი,
მაშინ უქმე რას მიქვია,
ამ დღეობას ჩვენი ქვია,
გასახრავი კი სხვისია,
დღეს პირველი მაისია.
ჩვენ დღეობა, სხვები ლხინობს,
„კარეტებით“ დარისინობს,
ჩვენ შიმშილი, სხვებს სახრავი,
იმას გოჭი, იმას კრავი,
იქ თამაში, იქ საკრავი,
ჩვენი ყბაა ასაკრავი?!
სხვებისაში მიღის მწვადი,
ჩვენ ლობიო, ცივი მჭადი?!.
არა, ძმაო, წალი, წალი,
მე ამფერი წელიშადი
არ მელირსოს მე გაისი,
არც აპრილი, არც მაისი,
დღეს განცხრომა და ხალისი
ვხედავ ყველა არის სხვისი.

ლალე ლალე, გენაცვალე, ეროვნული
შევიპრიყე, შევიშალე, გიბულისის
ომია სამოქალაქო,
ხან-ხოელმა გასცა ბაქო,
ბალშენიკებს ჩააბარა,
ბრძოლა არ მომხდარა, მარა
სამარცხვინოთ ისიც კმარა,
ფული მისცეს ცხრა ტომარა,
აიღებდა?—რატომ არა!.
— ახლა აქით მოდიანო,
— კაცო, მთლიათ არ შემაქანო!
ვინ მისცათ მაგის ნება რთვა,
მათ ქვეყანა რამ წაართვა?!

არალიალა, თარალიალა,
გამოვიდა ხათაბალა,
ბევრმა იგრძნო მისი ძალა,
(გორგიო შეაქანჯალა)
და ზოგ ზოგსა ძმა ბიქებსა,
(ქანქარი რომ ალრიჭებსა),
ჯერ არ მოხვედროდა კეტი,
რომ დაესხა კიდევ რეტი
და ისაქმეს ისეთი რამ
(სათქმელათაც შეტის-შეტი):

დააფრინეს ყოველ კუთხივ
თავიანთი შიკრიკები
და დაიწყეს ძველებურათ
სამარცხვინო ის ხრიკები,
რომლებმაც რომ დაგვარწმუნა,
იმათ გაიძვერობაში,
(თუმც ჩვენ მითთან უძლიური ვართ
სამისო მტერობაში).

გამოვიდა კვლავ მათრახი,
(ეს იმათხე იყო ახი,
ვიც იკაღრა ჩვენზე ადრე
საქმე მეტად დასძრახი),
და იმ შექანჯალებულსა
სულ გაუსკდა ტვინის არხი
და რაღაცას გვედავება
ის ტუტუცი და ვაგლახი.

უურნალი რათ იგვიანებს,
კარგათ ესმით იმ „კვეიანებს“,
მათი „შრომის“ ნაყოფია
და მით ჩვენ გვალიზიანებს?
ჯერ-ჯერობით მათი დროა,
მთებრ არისტოკრატების,
სახრავათ იქვთ რესპუბლიკა,
(სახელათ დემოკრატების).
და ამ დროში ვინც ჩვენ გვცინებს,
იმას ტვინში უხიცინებს,
რადგან ჯერე არვინ უწყის
დაბოლოს ვინ გაიცინებს.

ძმაო, შექანჯალებულო,
მიღლემჩი გამწვალებულო,
სულ შენ გინდა ისულელო,
მარტოთ გაიტანო ლელო?

ხათაბალამ შეა მათრახი,
მათრახი შობს ხათაბალას
და ხათაბალა— მათრახი
თქვენთვისა შობს— დარდუბალას.
შეპრეგილი.

მომარაგების სამინისტროს პოლიტიკის შედეგი.



მშვიდობიანი საუბარი დღევანდელ ოჯახში. (სურათი 1).

ს ც ე ნ ა

სოფლის სასამართლოში.

(შემოდის გლეხი თავ-მოშვლეპილი)

გლეხი. (მილ. უფროსს) უფალო
მამასახლისო...

მილიცის უფროსი. (აწყვეტინებს)
ვინაა მამასახლისი შე მუტრუკო,
ნიკოლოზის დროი ხომ არ გონია?

გლეხი. უკაცრავათ, ამხანავო
კამისარო...

მილიც. უფრ. ეი, შენ ქენქერო,
ჭკუა ხომ არ გაწუხებს, ეგ სახელიც
გამოგვიცვალეს, მილიცის უფროსი
მქონიან.

გლეხი. (იქით) სახელი გამოგი-
ცვალეს და შენ ქი დაგრიეს. (ამას)
უფალო მილიცის და ჭვეუნის უმფ-
როსო და კიდევ უკეთესო, ღმერთი
გადღევრებელებს მოგვეხმარეთ რაცხა,
ჩვენ გზებში რაუი ვერ გაიარს, მო-
გვები ჩემიმტვრა და პირუტყვა შით
ჩაგვემსხვრა, ყანობა მოაწია და ერთი
ღერი ღობე არსიდ არაა გადალობი-
ლი. კაი დროი მევიდა შევიგნიოთ,
საღაა მერე, ახლა გვინდა შენი ბი-
ჭობა.

მილიც. უფ. აგი რა ჩემი საქმეა,
შე ტუტუცო, გამგეობის თავმჯდო-
მარეს უთხარი.

გლეხი. (შედის თავმჯდომარეს-
თან) ბატონი და ხელმწ...

თავმჯდ. (აწყვეტინებს) ვინაა
ბატონი, ბატონის და ხელმწიფო-
ბის დროი წევიდა, მოქალაქევ ამხა-
ნაგოთქვა.

გლეხი. (იქით) ოლონდ საქმეს
გაგვიკეთებდეს და თუ უნდათ ხონ-
თქარი დეითქვან (ამას) უკაცრავათ
მოქალაქევ, მოგვეხმარე რაცხა, გა-
დასახადების გადახთიებაზე რომ გაქ-
ვენ თვალი გამოყლიბული, სხვაზე-
დაც მოგვეხმარე რაცხა, არც გზაი
გვაქ, არც ბოგები, არც ღობე.

თავმჯდ. ეს არ შედის ჩემს კომ-
პენტენციაში, საბჭოს თავმჯდომა-
რეს მიმართეთ.

გლეხი. (ხაბჭოს თავმჯდომარეს-
თან) მოქილაქევ საბჭოს მჯდო-
მარევ, შენ მოგვეშველე რამე შენი
მუხლების ჭირიმე, ასე ჩვენი საქმე
და შენთან მომასწველეს.

საბჭ. თავმჯ. კარგი მივიღებ
სახეში როცა საბჭოს კრება იქნება.

გლეხი. (დალონებული გამობრუ-
დება) რომ სხვაგან კიდო არ გამი-
პირე გინდა გაგვეკეთებიოს.

წამეილინებს ნაღვლიან ხმაზე:

—
ვაი ჩვენ დღეს, ჩვენ მოსწრებას
თურმე არ გათენდებათ,

სხვისი ხელის შემხედვარე
მუდამ მონა იქნებათ.

პროექტები, სახელები—
სხაპა-სხუპით იცვლებათ,
ბერო ცხონდი, როდის როდის,
ჯერ აფერი კეთდებათ.

შხანკოლა.

ა ი ჩ ვ ე ნ ი ხ ა თ ა ბ ა ლ ა .

ძმაო, ხედავ, ეს ქვეყანა
თუ რა გვარად შეიცვალა,
ძმა თვის ძმასა მტრად გადექცა—
შემოჰკრა და ინაცვალა.

გუშინ რომა ფიცსა სდებდნენ,
დღეს ეს ფიციც დაიშალა,
მომავალში რა იქნება—
აი ჩვენი ხათაბალა.

—
ძმაო ხედავ, ძმამან ძმასა
ცხელი ტყვია დაახალა!
გუშინდელი ფიცი მტკიცე
დღეს ალარ ლირს ერთი ჩალა.
რად შეშურდა ძმის სიცოცხლე
და სისხლიდან რად დასცალა!
მომავალში რა იქნება—
აი ჩვენი ხათაბალა.

—
ძმაო ხედავ ერთგულ მოძღვარს?
ქადაგებით მოიღალა,
ვისაც ურჩეს ფეხზე დგომას
იგი მიღის ყირამალა.



(სურათი 2)

ნახა ხალხმა ცუ სიტყვები—

ჩამოშორდა, მოეცალა.

მომავალში რა იქნება—

აი ჩვენი ხათაბალა.

ზაბუზალ თლლი.

სურათი

(ჭიათურისათვის)

ჭიათურის მცხოვრებლების
რაკი ხატვა განვიზრახე,
შევეცდები დაგანახოთ
ნათლათ მათი პირი,— სახე...

აი, აბა დაუკეირდით

ეს გომფაშო არის ვინა?

თუ ოდესმე ავათ იყავ

უკვე იცი მისი ბინა,

პროფესია თუმც კარგი აქვს

ქანქრის ბლომათ მოყვარული...

(თურმე სეხლში აღმოაჩნდა

კონიაკი მოპარული!).

უოველ გვარი ხელობა აქვს

ვაჭარია მარგანეცის,

(იშვიათი მნახველი ვარ

განათლებულ ასეთ „მხეცის“)..

აფსუს სკოლა, აფსუს სწავლა,

აფსუს ჩვენო მედიცინა,

ეს ჩარჩობის გენიონი

ეს რა კაცი გამიცდინა!?

განა ჩემი სუსტი ხელი

ასწერს იმის სივალახეს?.

(მისი ცუდი ქუვისათვის

ორჯერ ხალხში გამილახეს!)

მაგრამ რაი, კედელს ცერცვი

წუწები არის ეს წყეული,

ვითა ქათმის წასაღებათ

მინდვრის მელა მიჩვეული!!.

ვენაცვლები მე ისეთ კაცა

ვინც იყო და ვინცა გვყავდა,

(საყვედური ჩვენს მთავრობას

იგი თბილისს რათ მიჰყავდა?..)

რაშიგვინდა ჭიათურლებს

ეს მეორე—ქურდი, გლახა,

(ფულისათვის დაულია

უმაძლარი თვისი ხახა!!)

ვით ძეხვებზე მიჩვეული

მზარეულის წუწები კატა...

(მაპატივეთ, ჩემმა მუზამ

თუ რომ კარგათ ვერ დახატა).

ჭიათურელი ეშმაკი.

დეპეშა.

დაგვეკარგა გამოჩინებულის თე-
მის თავმჯდომარე, რომელსაც საში-
ოვე დავეძებთ და ვერა გავიგეთ რა.
ხმებია ვითომ ქუთასში პალა-
ოტელის მესამე სართულზე დაუნა-
ხავენ. თუ მართალია და ვინმერ რამე
კი იცის, ვთხოვთ გვაცნობონ გა-
მოჩინებულის თემის დაბლებულ
ერობას, რომელიც ჯილდოთ მიი-
ღებს თავმჯდომარის გამოცვლილ
(თუმცა ახალს) ინგლისურ პალტის.
გონჯი.

გაზაფხული.

(სამაისო)

გაზაფხული მოდის მოიმდერის,
დადგენ დღენი სასიცოცხლო, მზიანი—
მეჯლისია, სიხარული ერის,
გაზაფხული მოდის, მოიმდერის.
გაფუჩქულან ველზე ტურფა იანი,
სმენას გვიტკბობს ხმანი მშვენიერის,
გაზაფხული მოდის, მოიმდერის,
დადგენ დღენი სასიცოცხლო მზიანი.

ა. კულაშელი.

ტეტია და ტირაკუზა

იგავი

(აზრი აღებულია).

ტეტია და ტირაკუზამ ერთმანეთი სადღაც ნახა
(ერთი იყო ქართველი და შეორე სომხეთი გლახა)
და ეს ორი მათხველები დამეგობრდენ მეტად ძმურათ,
გზას გაუდგნენ და სიმღერაც ამოჰკიდეს საამურათ.
შუა გზაზე დააღმდათ ნახეს ერთი ყრუი ქოხი,
შეგ შევიღნენ, მაგრამ იქა მათი მუცლის მოსაოხი
საცუცქნავი ვერ იპოვეს ერთი მომცრო კვახის*) მეტი
და ამისთვის ერთმანეთსა მოუღირეს კიდეც კეტი!

ტეტიამ სთქვა ჩემიაო, ტირაკუზამ—არა ჩემი,
კვახს ვერავის დავანებებ, არ წამიწყდეს მამაჩემი,
მაგრამ ბოლოს ტირაკუზამ ისევ იწყო მორიგება:
რა გვაჩეუბებს, კაცო, კვახი უჩეუბრათაც მოიგება.
მოდი იგი ცეცხლში შევდოთ, სანამდისინ შეიწვება,
ჩვენც აქავე მივიძინოთ, ისე როგორც მოგვეწყვება.
ვინც უკეთესს სიზმარს ნახავს, საგმიროს და სასიმოს
კვახი იმას უნდა ერგოს და მეორეს არ აჭამოს.

მართლაც კვახი ჩადვეს ცეცხლში,
მიაყარეს მას ნაცარი,
თან საწოლი მოიმზადეს, ჩაიკეტეს მაგრათ კარი,
ორთავენი ცეცხლის პირას იქით-აქეთ მიწვენ ხელათ
და წავიღნენ სიზმარეთში ტყუილების საძებნელათ.

თვეზე ქეჩეო წაიხურეს, რადგან იყო დიდი ყინვა,
ტირაკუზას თითქო სძინავს (ამოუშვა კიდეც ხერინვა)
მაგრამ გულში იმას ფიქრობს რა ტყუილი მოიგონოს,
რომ კვახი თითონ შექამოს და ტეტია დააღონოს.
ტეტიამ სთქვა გუნებაში, მე სიზმარის რაღა მცხელა,
მოდი ამ კვახს გამოვათრევ და შევქამ მარტოხელა,
მერე თუვინდ ტირაკუზა
თვისი სიზმრით გამაკვიროს,
კვახის გემოს ვერა ნახავს დილამდისინ რომ იყვიროს.

მართლაც კვახი გამოირო და შექამა ტეტიამა,
გაიძერა, გაისინდა, რაკი კუჭი დაიამა,
ცოტა კიდეც მიეძინა, რადგან ეხლა აღარ სშია.
(ტარაკუზა ისევ ხერინავს, ვითომ დიდსა სიზმარშია)

ცოტა ხანი რომ გავიდა ტირაკუზამ იღრიალა:
(ტეტია ზედ წამოაგდო, ძილი აღარ დააცალა)
დედავ, დედავ, რა გიამბო იგი გასაკვირალიო,
რა სიამე მე არ გნახე და თან გასაკირალიო.
დამესიზმრა: ვითომ წუხელ შევიქენი ავათო,
სამოთხიდან ჩამოვიდენ ჩემდა სანახავათო.
ფერიებმა ჩამაჭვინეს ოქროს კარეტაშიამ
და ზემოთკენ როგორც ქორი გამაფრინეს ცაშიამ.

როცა თვალი გავახილე—სამოთხეში ვიყავიო,
არაფერი არ მტკიოდა, არც ფეხი და არც თავიო,
მომრტანეს მრავალგვარი საჭმელი და სასმელიო,
ბრილიანტით მოქარგული ჩამაცვეს ტანთსაცმელიო.

ოქრო—ვერცხლიც ბევრი მომცეს, მაქეიფეს, მაცინესო
და შემდეგ კი—ოქროს ტახტზე
დედოფალთან მაძინესო.

ეხლა მითხარ შენ რა ნახე ამის შესაღარელიო,
ასე გასაკვირალი და ასე გასახარელიო?..

ტეტიამ სთქვა:—მე სიზმარი არ მინახავს მაგფერიო,
მაგრამ ამბავი კი ვიცი უფრო ცხადი, სხვაფერიო:
შენ რომ ზეცას მიფრინავდი, იმ ოქროს კარეტითაო,
მე კი მაშინ არ მეძინა, გიყურებდი კყეტითაო.
გავიფიქრე—იგი აქეთ ვერ ჩამოვა ამ ლამეო
და შემწვარი მთელი კვახი კი საკუთრათ შევპამეო.
თუმცა მაინც შენოდენა არ მინახავს სიამეო,
მაგრამ შენზე მაძლარი ვარ, ეხლა აღარ მშია მეო.

ტირაკუზამ როცა ცეცხლში კვახი ვეღარ დაინახა,
კეტსა ხელი წამოუსვა, დააფჩინა კიდევ ხახა:
ზიქო, აგი რა გიქნია, შე გლახაკო; ტეტიაო,
მე და შენი სამართალი მხოლოდ აგი კატიაო.

ტეტიამც შეუძახა: ნუ ყიყინებ შე გლახაო,
თორემ მართლა ავათ გაგხთი ისე მაგრათ გაგლახაო.
შენ, ქართველსა მოატყუებ ტრაბახით და ხრიკითაო?
წალი, წალი, დროიანათ გამეცალე იქითაო.
ამხანაგათ მე არ მინდა—გაიძერა, ცბიერიო,
თუ გულს გერჩის, მოდი ვნახოთ ვინ არის ღონიერიო
იგი დღეი არ მოგესწრა, შენ ტეტიას მიერიო,
მაშინაც ვერას დამაკლებ, რომ არ იყო მშიერიო.

ტირაკუზა შეებრძოლა, მოუქნია კიდეც კეტი,
ცალი ლოკა გაუკაწრა, მაგრამ სხვა კი ამის მეტი
ვერაფერი ვერ დააკლო, კეტიც ხელში გაუვარდა,
(თურმე ტყვილათ ფაფხურობდა,
მისი გვარი ამოვარდა),

მაგრამ შემდეგ, თქვენ იცოცხლე,
მას დააგა გასაკირი,
ეს ტეტია, თითქო გლახა, ისე ეცა როგორც გმირი,
თვეზე ქეჩეო დაახია, დაუნაყა ცხვირი, პირი
და სანამდე არ მოეხსნა, აღრიალი როგორც ვირი.

რაღას იქმდა, ტირაკუზა,
საკოდავათ ძლიერსლა ადგა,
სიზმარშიაც არ უნახების რომ დღეი მას დაადგა,
ტრაბახით და ტყუილები არაფერში არ წაადგა,
შეშინდა და წალროკინდა, შინისაკენ გზას დაადგა.
და მას შემდეგ მგონი მართლაც ავათ არის ტირაკუზა
და ძილშიაც ელანდება—ტეტიამ რო უყო კუზა.
ეჭმაკის ფეხი.



*) ქვახი—ხაპი.



მესტვირული

(ჭიათურისათვის).

დიდი ხნის გაყუჩებულმან
გავსწმინდე გუდა-სტვირია,
„სახათაბალო“ საქმების
დაღილინება მჭირია.

ტყუილს არ ვიტყვი ერთ სიტყვას
არ გამიშავდეს პირია,
(თუმცა მართლის თქმაც ამ დროში
უკურნებელი ჭირია)...

პირველ ვიზილოთ სამსონი
ბარნაბ პაპავას გმირია,
მისი ბადალის მონახვა
მკლავაძეთ შორის ძვირია!!.

მაღაროებში მუშებს სცემს
მუშტი აქვს ეგზომ მაგარი,
დღეში რომ ოთხი გალიახოს
მაინც არა აქვს სახლვარი!?

როცა მუშების კავშირმა
ამოსდო პირში ლაგამი,
საბჭოში განასაჩინრა
უკუღმა დასვა საგანი.
(ლირისია თქვენი მათრახის
ვაჟები ასეთთაგანი).

ეხლა მსურს ვნახო ანტონი
მიუღილინო სტვირია,
და მითი შეუმსუბუქო
თვისისი გასაჭირია!!.

ვინც გაუსწორა მუშებსა
ჭირები დაკლებულია,
არ შეარჩინეს მუშებმა
მით გახდა უმაღურია,
და დაითხოვა იგინი
წაართვა ლუკა-პურია..
(მაგრამ მუშების კავშირმა
დაცვეტინა ყურია).

რომელმაც ფიცხლავ მოსთხოვა
მუშების უკან მიღება,
ეს არ იამა ანტონია—
(გულს ცეცხლი მოეკიდება),
ვეღარას შველის ვარლამი
ვერც პერსონაკის „დიდება“.

ერთი და დაგვრჩია კოშია
უკვე ძველთაგან ცნობილი,
სახათაბალო საქმეში
გამძერალი — გამოწრიობილი.
მიმდევარია ჭეშმარიტ
იეზუიტურ მცნებისა,
სიცრუის გულის გაბერვა
მას ხშირათ ეხერხებისა.
(ლირისია ძმიო ბეშტია
შენი მათრახის ცხებისა.

ლა-ნ ტეფოშვილი.

სპეცულიატის სიმღერა

წინათ მშიერ მუცლით
ძლიერს დავდიოდი,
გამვლელს და გამომვლელს
ჩემს ბედს შევჩიოდი.
დღეს კი საკუთარი
მყავს ავტომობილი,
სახლიც შევიძინე
ბარე ათი წყვილი.
რა კარგი ყოფილა
სპეცულიანტობა,
დაივიწყებ ყველას,
არვისი გწამს ძმობა..

ხშირათ ორ საათში
ვიგებ მილიონებს,
ამის შემხედვარეს
რაღა დამალონებს!..

დე ხალხი ცრემლს ლვრიდეს,
ნატრულობდეს პურისა,
არ შემებრალება,
სულ არ უგდებ ყურსა.

დე „პროლეტარს“ ეყოს
დღეში ორი გროში,
მე კი ათასობით
ვქამ — „ქიმერიონში“.
აჯან ჩემთ თავო,
საქმეა კარგათა,
გუშინ თუ გვშიოდა
დღეს ხომ ვართ მაძლრათა?!

ჯიქია.

სათაგალა პროცენციები
ერთონაული
სამტრედია ეგვიპტის
ამ რამდენიმე დღის წინათ, აქ
ჩამოვიდა ცეკვა თამაშის პროფესო-
რი ი. კვირტავა. მის ჩამოსვლის
დიდი ზემინთ და აღტაცებით შეხვ-
და სამტრედიის საზოგადოება. ჩა-
მოსვლისათანავე ბ-მა კირტავამ შე-
აგროვა ასამდი ქალ-ვაუნი და დაწ-
ყო მეცადინეობა. სამტრედიის და-
ღვრებილ არე-მარეს გამოცოცხლე-
ბის ელფერი დატყო. ყველა ქებით
და დიდებით იხსენიებს კირტავას
ასეთ უანგარო მოღვაწეობას და
მის ჩამობრძანებას ნიშანა პატივის-
ცემისა, ლექსიც ქე უძღვნეს:

სამტრედიის ესტურია
მოცეკვავე კირტავა,
(ამ ჩემის ქალაქს რა უკირს,
კულტურულობათ წინ წავ)

ჩემის ნორჩ ახალგაზრდობას
დრო დაუდგა დაადი,
კვლავ მას აღარ დაახრჩობს
სიბრელე და წყვდიადი.

არც გვარდიოს ოფიცირებს
შეაწუხებს ამ ძილი
და „ქალწულებს“ გულისა
და სულისა დუღილი.

ვაშა, ვაშა კირტავას!
ვაშა იმის ფეხებსა!
(აბა ვინ არ ინატრებს,
ვინ არ დაიკვეხებსა).

თუ როგორ შეითვისა სამტრე-
დიამ ცეკვა-თამაში და რა შედეგი
მოყვა მას, ამას მოკლე ხანში გაც-
ნობებთ.

ს. ჭაგანი.

ამბობენ ჭაგანში:
არს ერთი მღვდელიო,
რომელიც ბრძანდება
ლოთი და მსმელიო.

ქალებიც ქე უყვარს
თავისა რიგზეო,
(უმეტეს ნაწილათ
ცხენის-წყლის ხიდზეო).


ერთხელ მან დიაკვანს,
(როს იყო მთვრალიო)
გააწნა სილა და
დაუმსო თვალიო.

პალურიც ამოკრა —
საყოფათ სცემაო,
(სანამ არ მოფხიზლდა
მის შეუფემაო).

სოფელი დღეს მასზე
ძლიერა წყრებაო —
ვნახოთ რა იქნება,
რა გადაწყდებაო...

ჭაგნელი ბზიკი.

„ხათაბალას“ შარჟები.



თბილისის მოქალაქის სიზმარი.

სპეცულიანტი.



ქალათ მოარიცე კომუნისტი.